საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამებზე მიღების წესი

2021

მუხლი 1. მოქმედების სფერო

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სამაგისტრო პროგრამებზე მიღების წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების წესსა და პროცედურას.

მუხლი 2. სამაგისტრო გამოცდა

1. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში (შემდგომში: „უნივერსიტეტში“) მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვა ხორციელდება სამაგისტრო გამოცდის შედეგების საფუძველზე, გარდა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.
2. სამაგისტრო გამოცდა შედგება ორი ნაწილისაგან:
   2.1 საერთო სამაგისტრო გამოცდა;
   2.2 უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდები.
3. საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგად გამოვლინდება ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც უფლებას მოიპოვებს მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ გამოცდებში;
4. მაგისტრანტობის კანდიდატი უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავს კანონმდებლობით დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვრებს.
5. უნივერსიტეტმა შესაძლოა დაადგინოს, რომ მაგისტრანტობის კანდიდატი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებს მის მიერ განსაზღვრულ გამოცდებში მონაწილეობის უფლებას, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ოთხივე ნაწილში გადალახავს კანონმდებლობით დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვრებს.
6. უნივერსიტეტმა შესაძლოა დაადგინოს ტესტის ის ნაწილ(ებ)ი, რომელშიც მაგისტრანტობის კანდიდატმა აუცილებლად უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, იმისათვის, რომ მაგისტრანტობის კანდიდატმა მოიპოვოს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდებში მონაწილეობის უფლება.

7. საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტის გამოცდების შედეგად გამოვლინდება ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც უფლებას მოიპოვებს სწავლა განაგრძოს უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.
8. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვა რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლის 3. უნივერსიტეტის მიერ მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების გამოცხადება

1. მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების მიზნით უნივერსიტეტი სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წლის პირველი თებერვლიდან 10 თებერვლამდე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ელექტრონული ფორმით ასახავს სპეციალურ ანკეტა -კითხვარს და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაციას. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა შესაბამისი წლის 20 თებერვლამდე სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ამოწმებს ანკეტას.
2. რექტორის ბრძანებით განსაზღვრული მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, უნივერსიტეტის შიდა გამოცდების, მათი ჩატარების, შედეგების გამოცხადების, შედეგების გასაჩივრების თარიღები და სკოლების საბჭოების მიერ დამტკიცებული საგამოცდო თემატიკა განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
3. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდი არ უნდა იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.
4. კანონმდებლობით დადგენილი წესით უნივერსიტეტის შიდა გამოცდებში მონაწილეობის უფლების მოპოვების შემდეგ, მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია უნივერსიტეტში გაიაროს რეგისტრაცია რექტორის ბრძანებით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში.
5. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდები ტარდება უნივერსიტეტის შენობაში, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.

6. მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია გამოცდებზე გამოცხადდეს დაგვიანების გარეშე, თან იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.
7. გამოცდაზე დასაშვებია მხოლოდ ნებადართული პირადი მოხმარების (წყალი, წამლები, ხელსახოცი და სხვ.) ნივთების შემოტანა
8. საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია განისაზღვროს დამატებითი პირობები.
9. სპეციალური საგამოცდო პირობების საჭიროების შემთხვევაში, მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია, აღნიშნულთან დაკავშირებით გამოცდებამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე აცნობოს უნივერსიტეტს.

მუხლი 4. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების ჩატარების წესი

1. კანონმდებლობით დადგენილი წესით უნივერსიტეტის შიდა გამოცდებში მონაწილეობის უფლების მოპოვების შემდეგ, მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდები შესაბამის სპეციალობასა და უცხოურ ენაში.
2. უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ განსაზღვრული გამოცდების შინაარსს, კომპონენტებს (ტესტი, თეორიული საკითხი, ესსე, ქეისი და/ან სხვ) შეფასების კრიტერიუმებს, ჩატარების ფორმასა (ზეპირი, წერითი, ან კომბინირებული) და მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.
3. საგამოცდო საკითხები წარმოდგენილი უნდა იყოს რამდენიმე ვარიანტის სახით, მოიცავდეს იდენტური რაოდენობის და სირთულის საკითხებს. საკითხები ფასდება ქულებით. სპეციალობასა და უცხოურ ენაში გამოცდების მაქსიმალური შეფასება - 100 ქულაა. გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება თუ მაგისტრანტობის კანდიდატი გადალახავს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს (51 ქულა).
4. სპეციალობაში გამოცდის ჩატარებას და მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებას უზრუნველყოფს რექტორის ბრძანებით შექმნილი დარგობრივი კომისია.

5. უცხოურ ენაში გამოცდის ჩატარებას და მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი საუნივერსიტეტო საგამოცდო კომისია.
6. მაგისტრანტობის კანდიდატი შესაძლებელია განთავისუფლდეს უცხოური ენის გამოცდიდან, თუ კანდიდატი დოკუმენტურად (მაგ. უცხოური ენის ფლობის საერთაშორისო სერთიფიკატი, საქართველოში ან უცხოეთში შესაბამის უცხოურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და/ან სხვ.) დაადასტურებს მოთხოვნილ დონეზე ენის ფლობის კომპეტენციას.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, უცხოური ენის გამოცდიდან განთავისუფლება ხდება რექტორის ბრძანებით შექმნილი საუნივერსიტეტო კომისიის მიერ უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად.
8. უნივერსიტეტი ვალდებულია გამოცდ(ებ)ის თარიღამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს:
   8.1. სკოლების საბჭოების მიერ დამტკიცებული საგამოცდო თემატიკა.
   8.2. ინფორმაცია მისაღები გამოცდების ფორმის, მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების შესახებ.
9. თუ მაგისტრანტობის კანდიდატი სპეციალობასა ან/და უცხოურ ენაში ვერ გადალახავს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის უფლებას.
10. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების შედეგები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
11. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდებზე მაგისტრანტობის კანდიდატის საპრეტენზიო განაცხადს განიხილავს რექტორის ბრძანებით შექმნილი სააპელაციო კომისია, ბრძანებით დადგენილ ვადებში; საპრეტენზიო განაცხადი უნდა იყოს დასაბუთებული და მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული რას აპროტესტებს მაგისტრანტობის კანდიდატი. დაუსაბუთებელი და ზოგადი ხასიათის განცხადება განხილვას არ ექვემდებარება.

12. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება დაინტერესებულ პირს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.
13. მაგისტრატურაში სწავლა მიმდინარეობს თვითდაფინანსებით, სახელმწიფო გრანტის გათვალისწინებით.

მუხლი 5. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირება

1. უნივერსიტეტი სპეციალობასა და უცხოურ ენაში გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ ქმნის სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. გამოცდების კოეფიციენტით რანჟირების დოკუმენტში მოხვდება მხოლოდ ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდებს.
3 თუ უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის პროცესში აღმოჩნდება, რომ ბოლო ადგილზე, რანჟირებული მაგისტრანტობის კანდიდატების ნუსხიდან, ტესტის ნაწილების/ გამოცდების პრიორიტეტების გათვალისწინების შემდეგ, თანაბარი ჩარიცხვის უფლება აქვს ორ ან მეტ მაგისტრანტობის კანდიდატს, უნივერსიტეტი იღებს გადაწყვეტილებას მისთვის გამოყოფილი მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში ამ სპეციალობისათვის ადგილების დამატების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამისთვის გამოყოფილი ადგილებისთვის შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს დამატებული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება უნივერსიტეტის სტუდენტთა მომდევნო სასწავლო წელს დადგენილ მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტს.

მუხლი 6. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვა

1. უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.
2. მაგისტრანტობის კანდიდატთა უნივერსიტეტში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი

განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

3. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელსაც უნივერსიტეტში ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი, უმაღლესი საგანმნანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობის საფუძველზე შეიძლება ჩაირიცხოს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ პირობით, რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე უნივერსიტეტში წარადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს - დიპლომს.
4. მაგისტრანტობის კანდიდატთა უნივერსიტეტში ჩარიცხვა ფორმდება უნივერსიტეტსა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
5. მაგისტრანტობის კანდიდატების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები უნივერსიტეტის მიერ დგება რექტორის ერთიანი აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება.
6. უნივერსიტეტი სამაგისტრო გამოცდის წლის 5 ოქტომბრამდე სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახავს ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ;
7. რექტორის ერთიანი აქტის გამოცემის შემდეგ პირი ხდება უნივერსიტეტის სტუდენტი - მაგისტრანტი.